ხელმძღვანელობის მოვალეობების ტრანსფორმაცია ქართულ საკორპორაციო სამართალსა და სასამართლო პრაქტიკაში "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მიღებიდან დღემდე

ნატო ნავდარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნაშრომი შეიცავს ჩემს მიერ აკადემიური წერა იურისტებისთვის კურსის ფარგლებში შესრულებული ნაშრომიდან აღებულ მონაკვეთებს, გადამუშავებული თუ ციტირებული სახით.

ნატო ნავდარაშვილი

26.04.2021

აბსტრაქტი[1]

აღნიშნულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების ხელმძღვანელის მოვალეობის ტრანსფორმავია, ასევე ყოველივე ამასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციების თავისებურებანი.

ნაშრომში პირველ რიგში ყურადღება გამახვილებულია ხელმძღვანელობის ცნებაზე, ასევე კორპორაციულ სამართალში რა მართვის სახეები არსებობს და რა როლი აკისრია სამართლებრივ ურთიერთბებში საზოგადოების ხელმძღვანელებს

მოცემული სამაგისტრო ნაშრომში მიღწეული შედეგები, მიუთითებს საკვლევ საკითხის როგორც მნიშვნელოვანი პრობლემის შესაძლო გადაჭრის გზებზე და იძლევა განმარტებას სამეწარმეო-სამართლებრივ ურთიერთობაში ხელმძღვანელის მოვალეობების შესახებ.

ნაშრომში წამოჭრილი პრობლემის შესწავლისთვის გამოყენებულია: აღწერითი/მიმოხილვითი მეთოდი, ასევე შედარებითი და ისტორიულ სამართლებრივი მეთოდები.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის შედეგად გამოვლინდა საკანონმდებლო სივრცეში არსებული სამართლებრივი ხარვეზები და მათი მოგვარების სავარაუდო გზები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ხელმძღვანელობა. კეთილსინდისიერების პრინციპი. ხელმძღვანელის ფიდუციური ვალდებულებები. სამეწარმეო განსჯის წესი. კომპანიის საუკეთესო ინტერესები.

[1] აღნიშნული მონაკვთი აღებულია ჩემ მიერ აკადემიური წერა იურისტებისთვის კურსის ფარგლებში 2020-2021 წელს შესრულებული ნაშრომიდან.